დევიდ ლინჩი

# პარლამენტი: დევიდ ლინჩი საქართველოში კინემატოგრაფიის უნივერსიტეტის გახსნას გეგმავს

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი, 2017 - 18:21     0 კომენტარი

4693 წაკითხვა
1226 Share
0 Tweet
0 G+
0 Share
Recommend 200 people recommend this. Sign Up to see what your friends recommend.



ფოტო: flickr.com

ნოემბერში საქართველოში ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი ჩამოვა. ის საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, ქვეყანაში "დევიდ ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის" დაფუძნების საკითხზე გამართავს შეხვედრებს, ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტი ავრცელებს.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ დღეს კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის (DLFC) ხელმძღვანელს გიგა აგლაძესთან გამართა შეხვედრა. შეხვედრა 18-21 ნოემბრის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების ორგანიზებას ეხებოდა.

ლინჩის ვიზიტის ფარგლებში ასევე იგეგმება საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებით დისკუსია, რომლის დეტალებსაც კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ერთად განიხილავს.

მარიამ ჯაშის განცხადებით, დევიდ ლინჩის ფონდის მიერ გაჟღერებული ყველა ინიციატივა თანხვედრაშია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებთან.

გიგა აგლაძის განცხადებით უკვე გადაწყვეტილია, რომ დევიდ ლინჩი ნოემბერში გვესტუმრება და ფართო აუდიტორიასთან გამართავს შეხვედრებს, გაიმართება მისი ფილმების ჩვენებაც.

"ის პროექტები, რისი გაკეთებაც იგეგმება ქვეყნისთვის, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მათ შორის არის დევიდ ლინჩის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის და ა-კლასის კინოფესტივალის დაარსება", - განაცხადა გიგა აგლაძემ.

თემები:

დევიდ ლინჩი

მოკლე ბმული:
http://tbl.ge/2i5o

## ფოკუსში


რუსული ოკუპაცია
დაყვავების პოლიტიკა, როგორც ხაფანგი


კოგნიტური ნეირომეცნიერება
აღქმა როგორც არაცნობიერი დასკვნა, შიზოფრენიის მექანიზმი და რწმენის მათემატიკა - კრის ფრითი


თურქეთი
თურქეთის ეკონომიკური რეცესია - ერდოღანის აქილევსის ქუსლი

## პოპულარული


ქეთათო ჩარკვიანის სიმღერებზე: როცა ოკუპაციას აპროტესტებ, სხვისი საკუთრება არ უნდა მიიტაცო
10012 ნახვა


როგორ ერთობოდნენ ვარსკვლავები სენ-ტროპეზე 1960-იან და 1980-იან წლებში - ფოტოები
6646 ნახვა


დანიელმა არტისტმა გავრილოვის ღამის ამსახველი ილუსტრაციები შექმნა
5392 ნახვა


რუსი ოლიგარქის გრანდიოზული დაბადების დღე რესტორან „ფუნიკულიორში“ და მისი სტუმრები
5193 ნახვა


კალიაგინი: რობიკი [რობერტ სტურუა] მიყვება, რომ საქართველოში სიტუაცია საშიში და საშინელია

# THE PARLIAMENT: DAVID LYNCH IS PLANNING TO ESTABLISH A FILM UNIVERSITY IN GEORGIA

The American Film Director David Lynch will arrive in Georgia in November. He will hold a meeting with the representatives of the Government of Georgia concerning the establishment of the "David Lynch International Film University". This information has been dissolved by the Committee of the Education and Culture of Georgia.

The  Chairperson of the Committee of Education held a meeting today with the president of David Lynch Foundation (DLFC) Giga Agladze. The meeting was concerned to the organisation of the events planned in termes of the 18-21 November visit.

In scope of David Lynch visit a discussion is planned concerning the intrenational film festival project, details of which will be discussed by the Committee with the appropriate bodies of the Executive governors.

According to Mariam Jashi, all the initiatives voiced by the David Lynch Foundation is in line with priorities stated by the Parliament and Government of Georgia.

According to Giga Agladze the decision is already made concerning David Lynch's visit in November and his meeting with a large public. His film screening is also included in the plans.

"All those projects which are planned to be executed for the country, are very important. The establishment of  David Lynch Film Institute and A-class film festival are some of them", - stated Giga Agladze